№ 148
კვირა, 12 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 148
კვირა, 12 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა სასნგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) საკანონო და საათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფელ წერა და წერა გაკრულნი და შნიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სასლი ანდრეკ სანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მოის ქუჩაზედ, ავთიანქის შირდაშირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. მანუჯიანცს, ტფილისს. (24—9)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს [illegible]

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ს. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ს. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ს. ნ. შვაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ

ახალი ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲫᲘᲡᲐ, სადაც მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ ყოველგვარი ცნობა, როგორც, მაგ. ადგილის [illegible] [illegible]ლაპარაკება კანტორასთან შეიძლება სიტყვიერად და წერილითაც.

ბარიათინსკის ქუჩა, № 3.
(3—107—3)

ᲕᲘᲣᲕᲐᲜ

სხვა-და-სხვა სასწავლებლის ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲔᲑᲡ 1 სექტემბრიდგან ჩემს სახლში

ᲓᲐᲡᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ხელ-მისაწვდენ ფასად. მობარებულ მოსწავლეებს ექმნებათ რიგიანი თავშესაფარი და საჭმელ-სასმელი.

მსურველმა მოიკითხოს „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ რედაქციაში. (6—უ.—3).

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

გადაყვანილ იქმნა ბაშკადიკლარის ხურგის ბატალიონის პორუჩიკი გვახარია—განჯის ბრიგადაში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** მადლობა ღმერთს, ძლივს გავიგონეთ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის შესახებ ამბავი. გამგეობის წევრნი შეკრებილან, დროებით გამგეობის თავმჯდომარედ თავნ. ა. თუმანიშვილი ამოურჩევიათ და მდივნად გ. ზ. თურქესტანიშვილი. ხაზინადარი ჯერ არ არის ამორჩეული. ორი წევრი მაინც დაჰკლებია [illegible] [illegible]ბას. რასაკვირველია ქარ[illegible] [illegible] [illegible] [

სამოსწავლო კომისიის განაჩენის თანახმად, აცნობა საერო სასწავლებელთა დირექტორს, რომ ავლაბრის დედათა სასწავლებლის უფროსს მასწავლებლად დანიშნულ იქმნა ქ-ნი ტიმოფეევი, ვერის მეორე სასწავლებლის მასწავლებლად—ქ-ნი ჩაჩიბაია და კუკიის მესამე სასწავლებლისა—ქ-ნი შანშიევი; უმცროს მასწავლებლად სოლოლაკის სასწავლებელში—ქ-ნი შტეინი, ვერისაში—ქ-ნი ბრონსკაია და ბარნიშვილი, ავლაბრის პირველ სასწავლებელში—ქ-ნი ქალანთაროვი და ავლაბრის დედათა სასწავლებელში—ქ-ნნი ტურსკაია და ბარაბაშევიო.

⁂ ბ-ნმა გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ცხვრისა და ძროხის ხორცის ახალი ნიხრი. ეს ნიხრი ძალაში გუშინ-წინ, 10 ივლისს შევიდა.

⁂ რადგანაც აზრადა აქვთ დააწესონ, რომ ამიერ-კავკასიაში ბევრი საქონელი რკინის გზით გადაიყვანგადმოიყვანონ ხოლმე, ამიტომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ამ დღეებში მიჰმართა გუბერნატორებს და სთხოვა, შეგვატყობინეთ ცნობები იმის შესახებ, ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ყველა გუბერნიის დიდ ქალაქებში რამდენ საქონელს მიერეკებიან საკლავადაო. ეს ცნობები გამგეობას იმიტომ უნდა, რომ გამოიანგარიშოს, რამდენი ვაგონი დასჭირდება საქონლის გადაყვან-გადმოყვანისათვის.

⁂ სასულიერო უწყებამ განმარტა, რომ კრებულის იმ წევრმა, რომელსაც სხვა ეპარქიაში უნდა დროებით წასვლა, თხოვნასთან ერთად კრებულისადგინოს მოწმობა, რომ სრულობენ იმის თანამდებობის აღსრულებას, და ბლაგოჩინის მოწმობა, რომ არავითარი საქმე არ აბრკოლებს იმის დროებით განთავისუფლებას სამსახურიდგანაო.

⁂ ქუთაისის საგუბერნიო ინჟენერად, ბ-ნ ი. თ. სლიუჟინსკის ნაცვლად, რომელიც სხვა თანამდებობაზედ იქმნა გადაყვანილი, ქუთაისის საგუბერნიო არქიტექტორს პ. ვ. აპიშკინსა ჰნიშნავენო. სწერს „ახ. მიმ.“

⁂ პარიჟის ერთი გაზეთი, სახელად „La Russie“ იუწყება, რომ „ტყვიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოებას“ აზრადა აქვს გამართოს კავკასიაში ლითონის სადნობი ქარხანაო.

⁂ „Церков. Вѣст.“ სწერს, რომ მღვდელს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს და ქრისტიანულის წესით არ დაასაფლავოს თვით-მკვლელი, თუ პოლიციის მიერ მოწმობა იქმნება მიცემული, რომ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის მიცვალებულის დასაფლავების წინააღმდეგაო, თუნდა მკურნალებს არაკი გაეჭრათ და გაესინჯოთ თვითმკვლელის გვამიო.

⁂ გაზ. „Рус. Л.“ სწერს, რომ უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს გაამრავლოს საშუალო სასწავლებელთა რიცხვი ამიერ-კავკასიაშიო.

დ. დელიჯანი, (განჯის გუბერნია). ყველამ იცის, რომ დელიჯანი ეკუთვნის კავკასიის ერთ მშვენიერ საადგილო ადგილთაგანს, მაგრამ, საუბედუროდ, ამ წელს მას სულ სხვა ელ-ფერმა გადაჰკრა ასე, რომ მოაგარაკეთა რიცხვი შარშანდელზე ნახევარიც არ არის და იგი ყოველგვარ მხიარულებას მოკლებულია. მოვიდგინოთ, რომ ერთის ან ორის წლის შემდეგ დელიჯანი იგივე იქნება, რაც იყო ამ 10-12 წლის წინად, როდესაც არცკი იხსენებოდა, თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში ყარსის რკინის გზის გაყვანას, რომელიც, ეჭველი, შესამჩნევად დასცემს ამ მშვენიერ და ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულ ადგილის ღირსებასა და ეკონომიურ მდგომარეობას. დელიჯნელ ვაჭრებს და მცხოვრებლებს ეს აუცილებელი მომავალის ბედის წერა, ეტყობა, ადრევე გაუთვალისწინებიათ და რაც მომავალში ზარალს მოელიან, ის ამ წლის მოაგარაკეთა კისრიდან განუზრახავთ ამოსთხარონ. ამას ამტკიცებს საშინელი სიძვირე საჭმელ სასმელისა და ბინისა. თუმცა მაზრის უფროსმა ბ-ნმა ყანჩაველმა რიგიანი და არა საჭარალო ნიხრი დააწესა, განსაკუთრებით პურისა და ხორცისა, მაგრამ ყასბებმა და მეპურეებმა პირობა შეჰკრეს და დელიჯნელები მთელი არი დღე უხორც-პუროდ დასტოვეს და მით იძულებული ჰყვეს მაზრის უფროსი მოემატებინა ნიხრი. რაც შეეხება ოთახის სიძვირეს, ეს ხომ იმათ კეთილს ნებაზეა დამოკიდებული და ამიტომაც პატარა პურის კიდობნის ტოლა ოთახებს 30—40 მანეთს ნაკლებ ვერ იშოვის კაცი.

⁂ სოფ. ვარდისუბანი, (თელავის მაზრა). 5 მკათათვის ვარდისუბნელები კომლზედ კაცი იყო დაბარებული ს. ახატელში მამასახლისისა და მის თანაშემწეთა ამოსარჩევად. მგონი სოფლელ ხალხისათვის ამაზედ უკეთესი უფლება არა უნდა იყოს რა, როგორც თავიანთის მოხელეების ამორჩევა მათგანვე. ამისთანა წესი ამორჩევისა შემოღებულია მათდა [illegible] სოფლელ ხალხს უფრო უნდა კარგად ესმოდეს, თვისს სოფელში რომელი უფრო სანდო, გამოსადეგი კაცია, რომელი უფრო გულ მოდგინედ და პატიოსნად ემსახურება იმათს საზოგადოებას და რომელი უფრო მეტის თავ განწირვით ეცდება იმათის წინმსვლელობისათვის. ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, ვინც-კი სოფლის ცხოვრება იცის, რომ სოფლელები ამ შემთხვევაში მეტად და მეტად უვიცნი არიან. ისინი სულ ვერა სარგებლობენ მთავრობისაგან მინიჭებულ უფლებით. რას უნდა მიეწეროს ეს მოვლენა?!. ნუ თუ მართლა ისე დაქვეითდა ეს ჩვენი გლეხ-კაცობა, რომ იმის გარ ჩევაც-კი არ შეუძლიანთ, რომელი კაცია საზოგადოებისადვის ისეთი, რომ შეეძლოს მათის წინმსვლელობისათვის ზრუნვა?!. სამწუხაროდ უნდა გამოვსტყდეთ და ვსთქვათ, რომ ქართველ სოფლელ ხალხს მართლა დაჰკარგვია დაკვირვებაც და ავის და კარგის გარჩევაც. ყოველს სოფელში, რასაკვირველია, მოიპოვება იმისთანანი, რომელთაც შეუძლიანთ კარგის მოხელის ამორჩევა, მაგრამ ამისთანანი სოფლად ცოტა ხმას შეადგენენ. მიზეზიც ეს არის დუხჭირის მამასახლისების ამორჩევისა, რომელნიც სასწავლებლის დაარსების წინააღმდეგნიც-კი არიან, თუმცა მთავრობა ხმარებასა გვპირდება. აბა სხვა რაღა სიკეთეს უნდა მოველოდეთ ამათგან?!.

⁂ სად. გრაკალი, (ბორის მაზრა). შაბათს, 4 ივლისს, კინაღამ უბედურება არ დატრიალდა სოფ. სასირეთის მახლობლად. საღამოს მატარებლით აქ ჩამოვიდა ამიერ კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის უფროსი მოხელე გიორგი თუსარელი, რომელსაც ეტლით უნ[illegible] რამ რაკი ეტლი არსად აღმოჩნდა, გადასწყვიტა ფეხით [illegible] ტო წასვლას არჩია [illegible] მე გაეყოლებინა და მოურიგდა ერთს ადგილობრივს გლეხს, რომელმაც თანხმობა განაცხადა, რომ სოფლამდის მიგაცილებო. კიდრე გზას გაუდგებოდნენ თუსარელი დუქანში შეკიდა სანოკიგის სასუადლად და როდესაც მედუქნეს უსწორდებოდა როგორც იმ გლეხმა, რომელიც თან მისდევდა, აგრეთვე სხვებმა დაინახეს, რომ თუსარელს ბლომად ელაგა ქაღალდის ფული ქისაში. იქმნებოდა საღამოს 8 საათი, რომ თუსარელი გზას გაუდგა და სოფ. სასირეთს როგორც დაუსლოვდა, ქვაზედ ჩამოჯდა დასასვენებლად. პატარა ხნის შემდეგ თვლემა დაიწყო თურმე თუსარელმა და ამ დროს გლეხმა ტატიაშვილმა უცებ დანა დაჭრა უღელში თუსარელს. სისხლი თქრიალით გადმოსკდა უღლიდგან დაჭრილს, მაგრამ მაინც მოასწრო წამოხტომა და ხელი ჭრა გლეხს. უცებ მოიფიქრა,—იმიტომ უნდოდა ჩემი მოკვლა, რომ გაგვძარცვეო და ამოიღო თურმე ქისა ჯიბიდგან და გადაუგდო გლეხს. გლეხსაც დაუღია ხელი ქისისათვის, რომელშიაც 130 მან. დებულა, და ისევ გრაკალის გზას დასდგომია. თუსარელი-კი მაშინვე სოფ. სასირეთში ასულა და გამოუცხადებია მამასახლისისათვის. დაჭრილს ჭრილობა შეუხვიეს თურმე, გამოეკიდნენ ბორბოტ-მომქმედს, რომელიც გრაკალში ჩამოსულიყო, და დასპატიმრეს. მეორე დღეს ჩამოვიდა ადგილობრივი ბოქაული თავ. ჯავახიშვილი და დამნაშავე გაისტუმრა ლორის გამომძიებელთან, რომელმაც საპატიმროში დასპატიმრა დამნაშავე.

⁂ 9 ივლისს, ნაშუადღევის 12 საათზედ, რაჭის მაზრის სოფელ მუხლის მცხოვრებელი, 50 წლის კაცი, ნიკო ისაკაძე, როდესაც ტფილისის ეოთ-ერთ ფისქვილთან ბადით თევზს იჭერდა, მტკვარში ჩავარდა და

თხა ჭაბუკმა.

— მე?.. აწმყო ცხოვრება, მიუგო ქალმა: ნუ განმდევნი! დეე ნუ მოგწონვარ, მაგრამ ეცადე ახლო გამიცნო და მაშინ, დარწმუნებული ვარ,—ღირსეულად დამაფასებ.

— გემუდარები, განმშორდი, თავი დამანებე! სთხოვა ჭაბუკმა: მე განათლებას ვეძებ და არა შენ.

— მე და მხოლოდ მე ძალმიძს მიგიყვანო იმასთან.

— ეგე უკვე მითხრეს მეცნიერებამ და ხელოვნებამ. ბუნების წიალთა შორისაც ამაოდ დავშვერ ძიებით! წამოიძახა იმედ-მიხდილმა, სასოწარკვეთილმა ჭაბუკმა.

— ეს იცოდე, რომ თუ-კი ვისმე შეუძლიან დაგეხმაროს მაგ საქმეში, ეგ მხოლოდ მე ვარ, ანუგეშებდა ქალი ჭაბუკს: მენდე, მომყევი მე და ადვილად შეიტყობ ვინცა ვარ.

— კარგი, მაშ წამოიყვანე.

ქალმან იგი ჭაბუკი წაიყვანა და გაატარა დიდს ქალაქში. გაუძღვა თითონ წინ, დაატარა ქოხმახები ღატაკთა და სასახლენი მდიდართა; გააცნო მუშაკთა ცხოვრება ქარხნებსა და სახელოსნოებში; გაუღო ბჭენი კეთილისა და ბოროტისანი, იგი ბჭენი, რომელთაც აჰყავთ ადამიანი ზნეობრივს მწვერვალზედ და იგი ბჭენიც, რომელნიც იწვევენ ადამიანს უფსკრულში შთასანთქმელად. ქალმა მისცა შემთხვევა ჩაეხედა ჭაბუკს ცოდვათა და ბიწიერებათა მორევში. მანვე გააცნო მყუდრო, უმწიკვლო, უანგარო წრფელი სიყვარული. ყოველმავე ამან ძლიერ იმოქმედა ჭაბუკზედ. მეტად ბევრი სანახავი ჰნახა და მრავალი სასმენი მოისმინა. მეტად ბევრი საგრძნობელი რამ იგრძნო და საფიქრებელს დაუფიქრდა.

ჭაბუკმან სრულიად დაივიწყა თავისი უმთავრესი საგანი—ძიება და პოვნა განათლებისა.

— შეგიყვარდი განა? ჰკითხა ჭაბუკს ცხოვრების გზის ქალმა.

— დიაღაც რომ შემიყვარდი, მიუგო აღელვებულმა ჭაბუკმა: კვალად მსურს განვაგრძო ცხოვრების გზა შენთან ერთად.

ქალმა თავი გაიქნია.

ვგონებ საჭიროა, რომ მოგაგონო შენი უმთავრესი საგანი?

— ნუ თუ შენ არა ხარ ის, რასაც ვეძიებ! შესძახა გაშმაგებულმა ჭაბუკმა.

— არა, მე არა ვარ, მაგრამ ძალიან ახლო-კი ხარ იმასთან.

გამხნევებული, სულით ძლიერი ჭაბუკი იმედიანად გაუდგა გზას. ასე ეგონა, რომ სასურველს საგანს უკვე ჰხედავდა. იგი საგანი იზიდავდა და იწვევდა შორს და შორს—ზღვად, ხმელეთად, უდაბნოდ, მთად, ბარად. სახე იმ საგნისა, რომლისაგან გამოგრწყინავდნენ სხვანი ცხოველნი, ერთის შეხედვით თითქოს ისე ახლო იყო, რომ ხელის მიწვდენაც-კი შესაძლებელი ეგონა, მაგრამ იგი სახე ჭაბუკს ხელთ არ უვარდებოდა.

აჰა, მიაღწია ჭაბუკმა ერთის ტბის კიდეზედ განმარტოვებულს სიმაღლეს. როდესაც ტბაში ჩაიხედა, წყალში დაინახა თავისი სახე, ჭაღარა თმა-წვერით თეთრად შემოსილი, და საშინლად შედრკა. როგორ?! იფიქრა შეშინებულმა: განა ჩემი სიცოცხლე უფრო ადრე უნდა მოისპოს ვიდრე ჩემს საგნამდე მივაღწევდე?! მხნედ შეუდგა აღმართს და კვლავ გაუდგა გზას. ერთის წამის დაკარგაც ეძნელებოდა.

მაგრამ მუხლებმა უსუსტა. ფიქრებმა შორს გაიტაცა და წარსულის მოგონებამ გული აუტოკა. განა აი ესენი ნაცნობი ბილიკები არ არის? განა აქ არ ოცნებობდა ყრმობისას, როდესაც თავისს მამას სწავლა-დარიგებას უსმენდა? გულის ძგერით შემოუარა თუ არა აღმართულ კლდეს, იქ იდგა იგი, ის ქოხი, რომელიც ისე ხშირად აგონდებოდა, რომლისთვისაც ჰნაღვლობდა და დარდობდა. ნელის, სუსტის ნაბიჯით მიაღწია ქოხამდე, საშინლად მოქანცულს მუხლები ჩაეკეცა და ულონოდ დაეცა სარეცელზედ. ძალამ უმტყუნა და ჩასთვლიმა.

წავიდა ბუერანში... აგერ თვალწინ წარმოუდგა ყველა იგი სახე, რომელიც ენახა, რომელიც უყვარდა; წარმოუდგა ყოველივე თავგადასავალი, ნაგრძნობი და გამოვლილი, ყოველი დარდი და სიხარული, რომელთაც ღრმად დაასვეს დაღი იმისს ცხოვრებას. ყველა ამათ გადაჰხვიეს ხელი ხელს, ფერხული ჩააბეს და მისის სარეცელის გარს დაუარეს. ცეკვა და სიმღერა რომ გაათავეს, აღიღეს დაფნის გვირგვინი, დაადგეს იმას თავზედ და გახარებულთ უგალობეს: ამან მიაღწია თავისს საგანსაო.

გაკვირვებულმა გაახილა თვალი. იგი იმყოფებოდა დიდ, ბრწყინვალე დარბაზში. როცა იშვიათს სინათლეს თვალი მიაჩვია, შენიშნა იქ სახე ქალისა, რომელიც ციურს ქმნილებას ემსგავსებოდა. თვალნი ამ ქალისანი ჰბრწყინავდნენ ვითარცა ვარსკვლავნი, ხოლო სიბრძნესა, სიყვარულსა და სიმართლეს ნათლად ჰმეტყველებდა მისი უმანკო სახე.

— ნუ თუ შენა ხარ იგი, რასაც ვეძიებდი?—ჰკითხა მაშვრალმან კაცმან და აღტაცებით, სიხარულით აღსავსე გულით დაეცა მისის სათნოებისა და მშვენიერების წინაშე.

დიაღ, მე ვარ, მშვიდობიანად მიუგო ქალმა: შენმა თავ-გამოდებით ჩემსკენ მოსწრაფებამ აღგამაღლა და მოგაღწევინა ჩემ სამყოფელამდე.

— მთელი ჩემი სიცოცხლე შენსკენ ვისწრაფოდი, მაგრამ ვერ გპოვე.

— ყოველივე ძიება პოვნა არს, ანუგეშა ქალმა.

— და აწ, მხოლოდ ეხლა, როდესაც დღენი ჩემნი მიილია, ეხლა გამომეცხადე!—მწარედ წამოიძახა კაცმა—ოხ, ნეტავი ერთი იმდენი კიდევ მაცოცხლა, რომ ღირსეულად გემსახურო!

— მაშინ ხელ-ახლად უნდა შესდგომოდი ცხოვრების გზას.

— იმ გზას, რომელმაც საცთურში შთამაგდო?

— ჰოი, შე მიუხვდომელო! უთხრა ქალმა ღიმილით: მაშ ისინი ვინ იყვნენ, თუ არ ჩემნი შიკრიკნი, იმ გზის მაჩვენებელნი, რომლითაც ჩემამდე მოაღწიე.

— შენნი შიკრიკნი? აგერ ისინი, რომელთაც დამაგვირგვინეს? უთხრა მან, მაშვრალმა, გახარებულმა, ბედ-მიღწეულმა.

ღიმილით დაჰხარა ქალმა თავი.

— ისინი წარმართავდნენ შენის სულისა და გულის სწრაფვას. ახლაკი, რადგან საგანს მიაღწიე, აჰა უკვე მჭვრეტ.

ყოვლად შეუდარებელმა ნეტარებამ შეიპყრო კაცი იგი მაშვრალი.

— მე მოგანიჭე შენ თვალნი შორს მხედველნი და ყურნი სასმენლად მახვილნი, რათა შეგეძლოს საქმის ძალისა, ვითარების ხილვა და აწმყო ცხოვრების მაჯის ცემის სმენა, განაგრძო ქალმა. გულის ყური განგინათლე და ჭკუა დაგიბრძენე, სული შენი გავხადე მშვიდი, ყოვლად მეცნიერი და გული შენი ჩვილი და მგრძნობიერი. მე გასწავე ავი და კარგი სოფლისა, ბუნებისა და ცხოვრებისა. აწ აღმაღლდი და საგანსაც მიაღწიე. ეხლა-კი შეგიძლიან მოსვენებით დაიძინო.

და ქალი სიყვარულით დაიხარა მაშვრალისაკენ, ერთხელ კიდევ გააშუქა და განქრა.

სახე მოხუცისა სრულს სიმშვიდეს ჰმეტყველებდა...

ილ. ალხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაირჩო. დამრჩვალის გვამი ნავთლუღთან იპოვნეს.

*** 9 ივლისს ღამით ნავთლუხის მახლობლად სამმა თავით-ფეხამდის შეიარაღებულმა თათარმა შეაჩერეს სიღნაღიდგან მომავალი ფურგუნი და შიგ მსხდომთ უბძანეს, რომ ამ წუთშივე გადმოდით ფურგუნიდგან, თორემ ყველას დაგხოცავთო. მგზავრთაც მაშინვე აასრულეს ყაჩაღების ბრძანება, და გადმოვიდნენ ფურგუნიდგან. ყაჩაღებმა, რაც რამ მოეწონათ, გადმოიღეს ფურგუნიდგან, მოგზაურთ ჯიბეები დაუჩხრიკეს და 300 მან. წაართვეს. შემდეგ გამოუშვეს ფურგუნიდგან ერთი ცხენი და გასწიეს არხეინად ორხევისაკენ. მგზავრები ფეხით ჩამოვიდნენ ტფილისში და გამოუცხადეს მთავრობას ყოველივე. მაზრის უფროსმა ჯეროვანი საშუალება იღონა ყაჩაღების შესაპყრობლად, მაგრამ ჯერ არსად აღმოუჩენიათ.

წერილი ბორჯომიდგან

ბორჯომი, როგორც მოგეხსენებათ, საუკეთესო საგარაკო ადგილად ითვლება ჩვენს ქვეყანაში და ამიტომაც ყოველ წლობით აუარებელი ხალხი ეტანება. მისი კეთილმდგომარეობა წლითი-წლობით ჰმატულობს. ამისი მიზეზი ის არის, რომ მთელი ბორჯომი დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის საკუთრებას შეადგენს. უწინდელ პატრონების ხელში რომ ყოფილიყო, ეხლა აქ, ვგონებ, ქვა-ქვაზედაც აღარ იქნებოდა დარჩენილი, ისე გაანადგურებდნენ თუ პატრონები და თუ იმათი მოიჯარადრენი. ასეთი მაგალითები ხომ მრავალი გვაქვს თვალწინ: რამდენი მშვენიერი და ყოველი მხრით მდიდარი მამულია დღეს ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში სრულიად განადგურებულ და გატიალებული ზოგიერთი მომავალის უზრუნველი და წინ-დაუხედავ თავად-აზნაურის წყალობით!

ბორჯომის მამულის ეხლანდელ პატრონს ისეთი წესი აქვს შემოღებული, რომ მთელ მამულში ერთი უბრალო ხეც-კი არ მოიჭრება იმის გამგეს ნება დაურთველად. ამიტომაც მამული თან-და-თან უმჯობესდება და შემოსავალიც დღითი-დღე ჰმატულობს. რასაკვირველია, სასიამოვნოა, რომ ეს ძვირფასი და მშვენიერი მამული ასეთის პატრონის ხელშია. უპირველესი წყარო შემოსავლისა მშვენიერი და ძვირფასი ტყეა. მეორე ადგილი უჭირავს სამკურნალო წყალს ანუ „ვიშს“. მცოდნე კაცთა მოწმობით, ასეთი მარგებელი წყალი მთელს დედა-მიწაზედ არსად მოიპოვება თურმე. ამიტომ ბორჯომის სიკეთეს, როგორც საგარაკო ადგილისას, შეადგენს სამკურნალო წყაროები და აქაური მშვენიერი ჰაერი. სამკურნალო წყარო აქ ორნაირია. ერთს, საუკეთესოს, ჰქვიან ეკატერინეს წყარო, ხოლო მეორე ევგენიევის წყაროდ იწოდება. პირველი შველის უმთავრესად კუჭის სხვა-და-სხვა გვარ სნეულებას, ხოლო მეორე უხდება სისხლ-ნაკლულევან სნეულებას. წყალს ჰხმარობენ, როგორც სასმელად, ისე ტან-საბანადაც. სასმელი წყალი, ვინც პირდაპირ წყაროზედ ჰხმარობს, მუქთად ეძლევა მსურველს.

მკვიდრთა შორის ქართველები ძალიან ცოტანი არიან; უწინ-კი მრავალნი ყოფილან, მაგრამ მთავარ-მართებლის ვარანცოვის დროს სხვა ადგილებზედ გადუსახლებიათ და მათ ნაცვლად სამსახურ შესრულებულ ჯარის-კაცები დაუსახლებიათ. მაინც სახლების პატრონი ქართველები, რომელთაც მუდმივი ბინა სხვაგან აქვთ, საკმაოდ არიან.

ბორჯომში ეხლა ერთი მართლ-მადიდებელი ტაძარია. ეს ეკკლესია, თუმცა პატარა და უგუმბათოა, მაგრამ მშვენიერის თლილის ქვით არის აგებული. მღვდელიცა და მთავარიც ქართველები არიან. მლოცველები კვირა-უქმე დღეებში ბლომად იკრიბებიან ეკკლესიაში, განსაკუთრებით ზაფხულობით, მაგრამ მომეტებული ნაწილი, რასაკვირველია, მოაგარაკენი არიან. ამიტომაც ღვთის მსახურება სლავიანურ ენაზედ ჰსრულდება. ჰგალობს აქაურის სკოლის მოსწავლეთა გუნდი თავიანთის მასწავლებლის ლოტბარობით.

ბორჯომს აქვს პირველ დაწყებითი ერთ-კლასიანი სკოლა და მასთან სახელოსნო სასწავლებელი. პირველს სკოლაში სწავლობს დღეს სულ 108 ყმაწვილი—84 ვაჟი და 24 ქალი. სახელოსნო სკოლაში იყოფება 31 მოსწავლე. მოსწავლეთა შორის 57 ქართველია. ამგვარად, როგორც ჰხედავს მკითხველი, ქართველთა რიცხვი ნახევარზედ ცოტა ნაკლებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სკოლაში ქართულ ენას სრულიად არ ასწავლიან. ეს მით უფრო საკვირველია, რომ აქაური მღვდელი, მ. დ., რომელიც ამ სკოლაში საღმრთო სჯულს ასწავლის და რომელსაც ფრიად დიდი ღვაწლი მიუძღვის სკოლის ბედ ილბალში, ნიჭიერი, განათლებული და კეთილის მიმართულების ადამიანი ბრძანდება. ამიტომაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მ. დ. ისარგებლებს თავისი გავლენით და მომავალში მაინც ააცილებს სკოლას თავიდგან ამ საგრძნობელ ნაკლს.

ბორჯომს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღითი-დღე ეტყობა გაუმჯობესება: ელექტრონით განათების საქმეს უკვე კაი ხანია, რაც შეუდგნენ. ეხლა სვეტებსა სდგამენ, მავთულები გაჰყავთ და მომავალ ზაფხულისთვის უეჭველად მზად იქნება.

წყლის გამოყვანის საქმეც დაწყებულია და მალე ბორჯომს მშვენიერი წყალი ექმნება.

ამას გარდა, ბაკურიანში რკინის გზის გაყვანა უკვე გადაწყვეტილია მთავრობისაგან და, როგორც ამბობენ, მომავალ ზაფხულისათვის ეს გზაც მზად იქნება.

ყოველივე ეს ასე გახლავთ, მაგრამ ბორჯომელები, ესე იგი, აქაური სახლების პატრონები წელს ძალიან ემდურიან თავიანთ ბედს იმის გამო, რომ მოაგარაკეთა რიცხვი მეტის მეტად მცირეა. სახლები ნახევარზედ მეტი ცალიერია. ამის მიზეზად „Новое Обозрѣніе“-ს ვიღაც კორესპონდენტი რაღაც მოდას ასახელებს. მაგრამ მოდა აქ რა შუაშია, როცა თავი-და-თავი მიზეზი სადგომებისა და სანოვაგეს სიძვირეა. სასტუმროებში აქ ხეირიანს ოთახს სამ მანეთ ნაკლებ ვერ იქირავებთ დღეში. კერძო სადგომებიც მეტისმეტად ძვირია. ამას გარდა, ჩარჩები აქაც გაჩნდნენ და ყველაფერში საარაკო ფასს თხოულობენ. საუკეთესო სასტუმროებში ხეირიან ბოთლ ღვინოს მანეთ ნაკლებ არ იძლევიან. აი, სწორედ ამან დააშინა ხალხი და იძულებული ჰქმნა სხვა ადგილი მოეძებნა საგარაკოდ.

ვისაც დიდი შეძლება აქვს და საგარაკოდ დასასვენებლად და დროს გასატარებლად მიდის, ის, რასაკვირველია, ბორჯომში არ წავა, რადგანაც აქ სათვალისეირო და გასართობი არა არის-რა, იმის გარდა, რომ დილა-საღამოობით ჯარის მუსიკა შეუძლია მოისმინოს. მართალია, თეატრიც გახლავთ, მაგრამ აქაურ წარმოდგენების შესახებ სულ რომ არა ითქვას-რა, ისა სჯობია. საშუალო შეძლების ხალხისათვის-კი ბორჯომში ცხოვრება ზაფხულში, სიძვირისა გამო, მოუხერხებელია.

წელს ბორჯომის სახლის პატრონები რომ დარწმუნდნენ, მეაგარაკეთა რიცხვი ძალიან ცოტაა, იკადრეს ფასის დაკლება, მაგრამ გვიანღა იყო.

წყალტუბელი

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. კარდანახი, (სიღნაღის მაზრა). წარსულს გიორგობისთვეში აქ დაარსეს სახალხო სამკითხველო, რომლის დაარსებაში და აწ წინმძღოლაში დიდი შრომა მიუძღვით კნ. ელენე და ქეთევან აფხაზთ. იმათის დაუღალავის შრომითა და ნიკოიერის შემწეობით დღეს კარდანახის სამკითხველო სანეტარო მდგომარეობაშია: იმისდა მიუხედავად, რომ სულ რამდენიმე თვეა იმის დაარსების შემდეგ, უმეტეს შვიდასზედ მომეტებული ქართული და რუსული წიგნი აქვს და ეკვლა ტფილისის ჟურნალ-გაზეთები ქართული და რუსული მოსდის. „ივერია“, „მოამბე“, „კრებული“, „Кавказъ“-ი და „Новое Обозрѣніе“ უფასოდ, „ცვლილი“, „ჯეჯილი“ და „Кавказ. сельск. хозяйство“ დაკლებულ ფასად. გარდა ამისა, მრავალი წიგნი გამოუგზავნა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და კერძო შემოწირულებას ხომ თვლა არა აქვს.

ქონებრივ სიმდიდრეს არც მკითხველების სიმდიდრე ჩამოუვრჩება. ყოველ დღე წიგნების წასაღებად მოდის 50—70 სული, რომელთაც 70—100 წიგნი მიაქვთ. აქ უნდა შეენიშნოთ ის ფრიად სასიამოვნო გარემოება, რომ მკითხველთა შორის მომეტებულ ნაწილად გლეხის ქალები არიან.

მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი გავლენა აქვს ქალს ოჯახზედ და მეტადრე გლეხის ქალს. კეტეკი მხოლოდ იმას, რომ გლეხის ოჯახი სრულიად დამყარებულია ქალზედ. მამამ არც კი იცის, რას აკეთებენ იმის შვილები სახლში, რადგანაც თოლს დღეს კარზედ აღამებს, ამიტომ შვილების აღზრდა, სწავლება, ქვეყანაში გამოყვანა, იმათი ავი და კარგი დედისაგან არის დამოკიდებული. აი, სწორედ აქ უნდა გამოიჩინოს ხვენმა გლეხის ქალმა თავისი ტოდნა, თუ რაიმე შეიძინა სიყმაწვილეში. ეს გარემოება კარგად აქვთ შეგნებული სამკითხველოს გამგეთ და ამიტომ მომეტებულს ყურადღებას გლეხის ქალებს აქცევენ. მშვენიერს სურათს წარმოადგენს სამკითხველოს ეზო, რადესაც ორმოცამდის ახალგაზდა გლეხის ქალთ მოუყრია თავი წიგნების გამოსაცვლელათ. მათი სიცილ-კისკისი და სჯა-ბაასი საამურად გასაგონია ჭალაში.

დიაღ, სწორეთ რომ დიდის მადლობის დიდსნი არიან კნ. ელ. და ქ. აფხაზნი. ვისურვოთ, რომ ბოლომდის ასე დაუღალავად ემსახურებოდნენ ამ წმიდა საქმეს, რომ იმათ ხელში კარდანახის სამკითხველო ბოლომდის ასე წმიდად ასრულებდეს თავისს მოვალეობას. მადლობის დიდსნი არიან ბერეთელ კნ. ელისაბედ ვაჩნაძისა, რომელმაც დროებით უსასყიდლოდ დაუთმო სამკითხველოს ერთი ოთახი, სადაც იგი ჯერ-ჯერობით მოთავსებულია და მასწავლებელი ალ. ფურცელაძე, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებს სამკითხველოს საქმეში.

ამინდები ცხელი და გვალვიანი დაიჭირა. ვაზის ავადმყოფობა შესამჩნევად ვრცელდება და ღვინის მოსავალი საეთოოა.

შ.

სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ეხლა კი ჩამოცხა!.. ტფილისი სწორედ გახურებულს თონესა ჰგავს, მზის გულზედ ერბო-კვერცხი მოიწვის და მოიხრაკება. მაგრამ სადღაა ტფილისი, ტფილისი ეხლა ბორჯომშია, კოჯორში, მანგლისში, თუ გსურთ, ოქროყანაშიაც-კი, მაგრამ ტფილისი ტფილისს-კი აღარ ახლავს. ვისაც-კი ფეხები ჰქონდა და ძირ-მაგარი ფეხთ-საცმელი ეცვა, ყველა გაექცა ამ სიცხეს, დაშთნენ მხოლოდ ფეხიანნი, მაგრამ უძირ-მაგარო ფეხ-საცმელიანნი.

სომხურმა კალენდარმა ახარა ტფილისს, შვიდ ივლისიდგან აგრილდებაო, მაგრამ ეს ხარებაც ვაჭრული ტყუილი გამოდგა. ამის გამო დღე სძინავს ტფილისს, ან, უკეთ ვთქვათ, ადამ და ევას ტანსაცმელით თავისს კარ-ჩაკეტილსა და ჩაბნელებულს ოთახებში ჰხვნეშის და ღამე-კი ბაღები სავსეა, სადაც ტფილელნი სარაჯოვის არყითა და „კახეთია“-ს ღვინით გულს იგრილებენ და გონს ინისლებენ.

ტფილისელი ეხლა ბუნების წიაღსა ზედაა სადმე, ჩრდილოვან ხეთა ქვეშე თავ-შეფარებული და უსაქმობაში ჰლევს გრილად დრო-ჟამს. შეიყრებიან საღამოს ხანს ხან ერთ მეაგარაკესთან, ხან მეორესთან და ლობიოებით აჭრელებულს ლოტოს ვახშამი მოსდევს ვარიებით, მაწვნითა და კარაქით, ვახშამს—კახურის ღვინის ჩაღლევა და ჩაღლევას—გაცხარებული ბაასი და კამათი ხშირად იმის შესახებაც-კი, ხურმის კურკას მწარე გული აქვს, თუ მოტკბილოო. ამასაც არა სჯერდებიან ხოლმე და ბრაზ-მორეულნი დაიწყებენ სჯას, ქურდი, ჯიბგირი სტყუის, თუ ნაქურდალის პატრონიო.

— მოითმინეთ, ბატონებო, ამტკიცებს ერთი სათვალებიანი ყმაწვილი კაცი: ქურდი იმის ქურდია, რომ იქურდოს და მოიპაროს. ნივთის პატრონიც ხომ მოვალეა, რომ თავისს ქონებას გაუფრთხილდეს, ქურდს არ წააღებინოს, მტაცებელს არ მოატაცებინოს?

— მე ქართველი ვარ, გულ-კეთილი ქართველი, გაწიწმატებით აძლევს პასუხს ვიღაცა ჭალარა-შერეული კაცი და გულს იმჯილვამს: პატიოსნება მწამს, შეიძლება ათიოდე ოქრო მქონდეს, ისიც ქუჩაში დავყარო სადმე და მივიძინო. განა პატიოსნებაა, რომ შენ ისარგებლო ჩემის გულ-კეთილობით და ამაცალო ეს ოქროები?!

— არ არის პატიოსნებაო, უპასუხებს ყმაწვილი კაცი: ვინ ამბობს, მაგრამ მაინც და მაინც ორცა ეს არის დიდი გონიერება, რომ ოქროები დაჰყაროთ და პატრონობა არ გაუწიოთ. ხომ მოგეხსენებათ, ქართული ანდაზაა, უპატრონო კვიცსაო ან მგელი შესჭამს და ან მგლის ფერიო. აგეთი საქციელი ქართველური გულ-კეთილობა-კი არა, სისულელე გახლავთ.

— როგორ თუ სისულელეო, წიწმატობს ჭალარა-შერეული და ღვინისაგან იის ფრად გაჭარხლებული ბატონი და თან სახელოებს იმკლავებს, თითქოს ჭიდაობას აპირებს ვისთანმეო: თქვენ მე შეურაცხება მომაყენეთ. გაგონილა, ჩემის გულ-კეთილობით უცხოს თავი შევაჭმევინო, ჩემი ქონება მივათვისებინო და სულელს მევე მიწოდებდნენ?!.

— დიაღ, სულელს გიწოდებენ, რადგან არსებობისათვის ბრძოლის დროს თქვენი გულ-კეთილობა რომ შორს საკუჭნაოში მიჰმალოთ სადმე, ისა სჯობიაო,—არა სცხრება ყმაწვილი კაცი..

აქ-კი აირევა მონასტერი. მოკამათენი ერთმანეთისაკენ იწევენ და ამ წევაში გაშლილს სუფრას აპირქვავებენ. მოაგარაკე ქალ-კაცნი ერევიან ბაასში, ქალები ჭალარას ემხრობიან, ცხოვრების მცოდნე ქმრები—ყმაწვილს კაცს და დადგება ერთი ვაიუშველებელი.

— მე გულ-კეთილობა მწამს, გულ-კეთილობა დიდი რამ გრძნობააო, ჰბრძანებს ნაზის ხმით ერთი მშვენიერი გაუთხოვარი ქალბატონი.

— თუ ფული არ მოეძევება, ცალიერის გულ-კეთილობით მაწონსაც-კი ვერავინ იყიდის თავზედ გადასასხმელადაო,—უკმეხად გაიძახის ისევ ის სათვალებიანი.

დასასრულ, ორ დასად განაწილებული სტუმრები დაიშლებიან ისე, რომ მასპინძელსაც-კი არ ეუბნებიან მადლობას, და მეორე დღეს ჭალარა და ახალგაზდა ერთმანეთს თავს აღარ უკრავენ, უბღვერიან, თვალებით შეჭმას უქადიან.

აი, ერთი სურათი ტფილისელის აგარაკად ცხოვრებისა, რომელსაც მე თითონ დავესწარი. ამ სურათთან გაიხსენეთ გრილი სალამო, საუცხოო ნიავი, ყვავილებით აჭრელებული და ყანებით აბიბინებული მინდვრები და ჩემთან ერთად თქვენც ამას იფიქრებთ, მკითხველო: ნეტა რად იმტვრევენ თავებს, უსაქმურობით განგებ სალაპარაკოსა და საკამათოს რად იჩენენ, დასტკბნენ ბუნების სიუხვით, რად ავიწყდებათ, რომ, გურამიშვილისა არ იყოს,

ცუდსა მეთვეზეს შერჩება
უბრალოდ წყალთა მღვრევანი!..

* *

იმ დროს, როდესაც ტფილისელი აგარაკად უსაქმურობასა საქმიანობს, აქ, ტფილისში, ცხრა თვალი მზე ტრიალებს, აჭერს დედამიწას, აცხუნებს, აპაპანაქებს და საქმეც ვერ მოუსაქმიანებია ადამიანს. საქმე-კი ცოტაა?!.

აგერ ქალაქის გამგეობისაგან უდიერად ჯვარცმული მეტივეები, რომელთაც ისე მხნედ ჰმომხრეობს ბ-ნი ჯაბადარი და არა ნაკლებ მხნედ უდგანან კრიჭაში ძველის მიმართულების „ახალი მიმოხილვა“ და ტფილისისად წოდებული ერევან-ეჩმიაძინის „ფურცელი“... აგერ სავაჭრო პოლიციის მოხელე ბ-ნი კუზანოვი, რომელმაც ას ნახევარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმანი ქალაქის ფული შესჭამა და არხეინად დასეირნობს. ქალაქის გამგეობას ერთი ტივი არ გამორჩენია, რომ ექვსი მან. არ წაართვას იმისს პატრონს უსამართლოდ და ეს როგორ მოხდა, რომ იმისმა მოხელემ ეს თუმნობით პირი ჩაიგემრიელა და რამდენისამე წლის განმავლობაში ეს ამბავი დაფარულ-დაძინებული იყო? როგორ მოხდა, რომ...

მაგრამ ცხელა, მკითხველო, ცხელა და ყველა ეს „როგორ მოხდა“ შემდეგისათვის გადავდოთ.

ჩიორა

რუსეთი

15 ივლისს დამთავრდება იმათ თხოვნების მიღება, რომელთაც ჰსურთ საისტორიო-საფილოლოგო ინსტიტუტსა და სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში შესვლა.

— განზრახვა აქვთ მომავალ შემოდგომას სახელმწიფო რკინის გზების ლეფროსთა კრება გაჰმართონ ქ. პეტერბურგში. კრებამ სხვათა შორის უნდა მოილაპარაკოს რუსეთის რკინის გზებით ყოველ-გვარ საქონლის გადატან-გადმოტანის საქმის გაუკეთესების შესახებ.

— რუსეთის ზოგიერთ ეპარქიის მთავრობამ განუმარტა საეკკლესიო კრებულთ, რომ მოწმობანი დაბადება-ნათლობისა, ჯვარის-წერისა და დასაფლავებისა მსურველთ უსასყიდლოდ უნდა მიეცეთ ხოლმეო.

— ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას განზრახა აქვს ფრინველთა პირველი საერთაშორისო გამოფენა გაჰმართოს მომავალ წელს რუსეთის რომელსამე დიდს ქალაქში.

— ამ ჟამად გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის შესანახად ხაზინა წელიწადში 945,000 მან. ჰხარჯავს, სამხედრო - სამკურნალო აკადემიის შესანახად—500,000 მან., პეტერბურგის უნივერსიტეტის შესანახად—407,000 მან., კიევის უნივერსიტეტის—380,000 მან., ოდესისათვის—255,000 მან. 1896 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტს თითო სწავლა-დამთავრებული დაუჯდა 930 მ., ხარკოვისას—1,928 მან., მოსკოვისას—1,442 მ., გზათა საინჟენერო ინსტიტუტს—1,634 მ., სამთო ინსტიტუტს—3,776 მან., სამხედრო-სამკურნალო აკადემიას—4,315 მან. და საისტორიო-საფილოლოგიო ინსტიტუტს—10,664 მან.

უცხოეთი

ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი. ესპანიის მინისტრ-პრეზიდენტმა საგასტამ, გაზეთების სიტყვით, გამოაცხადა, რომ არც მთავრობას და არც ბლანკოს სანტ-იაგოს გადატემის საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათო. ეს საქმე გენერალმა ტორალმა თავისის რებით, სხვათა დაუკითხავად, მოახდინა და ამიტომ მარტო ის უნდა იქმნას ამის გამო მიტემული პასუხის გებაშიო. როგორც იგიგე გაზეთები იუწყებიან, ამ ჯარის კაცთა რიცხვი, რომელნიც სანტ-იაგოდგან შაფტერსა და ტორალს შორის დადებულის სულ-შეკრულობის ძალით, უკანკე ესპანიაში უნდა დაბრუნონ, იქნება 15,000.

— ამერიკიდგან იუწყებიან, რომ აზრადა აქვთ ამერიკის იმ ჯარის ნაწილი, რომელიც ამ ჟამად კუბაშია, პორტო-რიკოში გაგზავნონ ამ კუნძულის ასაღებად, ხოლო დანარჩენი კუბის ისეთ ადგილას გადაიყვანონ, სადაც ციებ-ცხელება და სხვა ავადმყოფობა არ არის გავრცელებულიო. ამ ავადმყოფობამ ძალიან დააშინა და დაფიქრიანა ამერიკელები. ავადმყოფთა რიცხვი ამერიკის ჯარის-კაცთა შორის დღითი დღე მატულობს. შეუჩვეველ ამერიკელებს ვერ აუტანიათ სანტ იაგოს სამაგელი ჰავა, განსაკუთრებულ ესლა, ზაფხულში, როდესაც უფრო საშინლად მძვინვარებს ხოლმე ციებ-ცხელება. ამბობენ, ესპანიის მთავრობა სწორედ იმიტომ არა სთხოვს ზავს ამერიკას, რომ იმედი აქვს, ამერიკელები ვერ აიტანენ კუბის ჰავას და ნება-უნებურად ამ კუნძულს თავს გაანებებენო. თვით ამერიკელებიც სცდილობენ, რაც შეიძლება მალე გაათავონ საქმე სანტ-იაგოში და ჯარი სხვაგან, უფრო უნებელ ადგილას გადაიყვანონ.

— გაზეთების სიტყვით, ამერიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ესპანია მანამდე არ შოსპობს ომს და არ მოგვთხოვს ზავს, კიდრე შორტო-რიკოსაც არ დაეპყრობთო.

— ეროს ესპანელს, ბევრად მანუელ დატეს წარუდგენია მთავრობისათვის თავის მიერ გამოგონილი ახალი სასროლი მანქანა, რომელიც ერთსა და იმავე დროს კაცსა ჰკლავს და სწვავს. ამ მანქანას სახელად „ტოკსპირი“ ეწოდება. იგი წარმოადგენს ჰაერში თვით-მოძრავ ნალმს, რომელსაც ბატარა ზარბაზნიდგან ისვრიან. მანქანა ძალიან პატარა არის და მეტად ადვილი გადასატან-გადმოსატანია. გაზეთების სიტყვით, სამხედრო სამინისტროს აზრადა აქვს დაწვრილებით გამოიკვლიოს და გამოსცადოს ეს მანქანა და თუ მართლა ისეთი გამოდგა, როგორც ამბობენ, ამ ომში მოიხმაროს.

— გაზ. „Daily Telegraph“-ის სიტყვით, ქალაქ ტამპის კომენდანტმა ბრძანება მიიღო ვაშინგტონიდგან, რომ უველა ის ჯარის-კაცები, რომელიც კუბაში უნდა გაეგზავნათ, კუნძულ პორტო-რიკოში გაისტუმრეთო, ეჯვი არ არის, თუ ეს ამბავი გამართდა და თუ ესპანიამ ამერიკას ზავი დროით არ მოსთხოვა, ბრძოლა ამერიკელებსა ეს ესპანელებს შორის, ჰკვანის ნატეხად, როგორც აქამდის ჰფიქრობდნენ, კუნძულ პორტო-რიკოში იტეხება. რადგანაც ამ კუნძულზედ ესპანიას მეტად მცირე ჯარი ჰყავს, ამერიკელებს იმის აღება არ გაუჭირდებათ, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი მცხოვრებელნი აქაც ისე, როგორც კუბაში, ესპანელების წინააღმდეგნი არიან.

— ესპანიის ფლოტი, რომელიც ამერიკელებმა გაანადგურეს, გაზეთების სიტყვით, 100 მილიონი პეზეტი (პეზეტი 23 კაპ.) ღირდა. ზოგი ერთი გემი მეტად კარგი და ძვირფასი იყო, როგორც, მაგალითად, „ბისკაია“-18 მილ. პეზ., „მარია ტერეზა“—18 მილ., „კრისტობალ კოლონ“-ი—22 მილ., „ოკვენდო“—18 მილ. და სხვა. ასეთი დიდი ზარალი, რასაკვირველია, ხეირს არ დაუკრის ესპანიას; მაგრამ მარტო ეს რომ იყოს კიდევ არაფერი: საერთო ზარალი ესპანიისა ამ ომის დროს რამდენსამე ას მილიონ პეზეტს აღემატება.

ოსმალეთი. როგორც ოსმალეთიდგან იუწყებიან, სულთანს აზრადა აქვს თავისი ჯარი გაამრავლოს და იმ ჯარის გარდა, რაც უკვე ჰყავს, 250,000 ახალი ჯარის-კაცი გამოიწვიოსო. ამ აზრით გაუქმებულ იქმნა ის კანონი, რომლის ძალითაც კონსტანტინეპოლის მცხოვრებელნი სამხედრო ბეგარას არ იხდიდნენ. ამიერიდგან ჯარის-კაცად გაიწვევენ კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ახალ-გაზდა კაცებსაო.

ჩინეთი. გაზ. „Times“-ის სიტყვით, აწინდელი ამბოხება ჩინეთში მოახდინა იმ საიდუმლო საზოგადოებამ რომელმაც 1851 წელს ტაიპინგთა არეულობა გამოიწვიაო. ჩინეთი, განსაკუთრებით იმის სამხრეთის პროვინციები, საკვაა სხვა-და სხვა საიდუმლო საზოგადოებებით. ისე წელიწადი არ გაიგლის, რომ რომელმამე ამ საიდუმლო საზოგადოებამ უზარ-მაზარს ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში არეულობა და უწესობა არ მოახდინოს. ეს საზოგადოებანი უმთავრესად აწინდელ სამეფო გვარეულობას და მთავრობას ებრძვიან. მათ არ მოსწონთ ჩინეთის ევროპასთან დასლოგება და ევროპის სახელმწიფოებთან საქმის დაჭერა. ამ საიდუმლო საზოგადოებათა შორის ყველაზედ ძლიერი და გავლენიანი ის საზოგადოებაა, რომელმაც, „Times“ ის სიტყვით, წელს ამბოხება გამოიწვია.

ნაკვეთი

— მშვენიერი აგარაკი დაგიჭერიათ.

— კარგია, მაგრამ უმაწვილ-კაცობა ტოტაა, ქალები დაუთხოვრები მრჩება.

— რასა ბრძანებთ, თქვენს ქალიშვილებს კაცები ბუზებსავით ეხვევიან.

— მართალია, ბუზებსა ჰგვანან: ზაფხულში თავს გვაბეზრებენ და შემოდგომის სიო დაჭბერავს თუ არა, უველანი მიიჩქმალებიან ხოლმე.

ᲔᲣᲠᲝᲞᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

სახელოვანმა მწერალმა ალფონს დოდემ კარგად შეისწავლა ამაოდ მედიდურობა. დოდე სწერს:

— მედიდურობა ამოქმედებს ყველა კაცს, ხოლო ამაოდ-მედიდურობა მტერია სინიდისისა. ამპარტავნობა წინააღმდეგია სიმართლისა და ხშირად აღმოფხვრის ხოლმე სიმართლეს გულიდგან. ხშირად ვეკითხებით ხოლმე ჩვენს თავს, რად მოიქცა ძლიერ ცუდად ეს კაცი, როდესაც კარგად ვიცი ი, რომ ამ ხასიათის კაცი ასე არ უნდა მოქცეულიყო. ამის მიზეზი არის ამაოდ-მედიდურობა, რომელიც უბძანებს კაცს—ასე მოიქეციო.

აი მაგალითებიც. კარგად მახსოვს ერთი ამაოდ-მედიდური კაცი, ნაცნობი მამი ჩემისა.—დღეს მოვაო ეს კაცი, მითხრა ერთხელ მამა ჩემმა. აბა, ყური დაუგდე, რას არ მოაპორებს.

ამაოდ-მედიდური კაცი მოვიდა და იმ წამსვე მოჰყვა ლაპარაკს თავისს თავზე—შეაქო თვისი ოჯახი, ცოლ-შვილი და რა ჰნახა, რომ მამა ჩემი კვლავ ავად იყო, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ „ავადმყოფობა მართლა რომ ძნელი ასატანია, კაცი იტანჯება, იძულებულია დღე და ღამე სავარძელში გაატაროს, ტვინი არა ჰმუშაობს“. მამა ჩემს ხშირად უთქვამს, რომ ვანდიდებული ამაოდ-მოყვარეობა ხშირად სიბოროტედ და გულ-ქვაობად გადაიქცევა ხოლმეო.

ამაოდ-მოყვარე კაცმა თავისი არ დაიშალა. აშკარად ეტყობოდა, რომ უხაროდა, მე კარგადა ვარ და ჩემი მეგობარი კი ავადმყოფიაო. ეს მამა ჩემმაც შეატყო და უთხრა:

ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ ისე კარგად, როგორც დღესა ვარ. ამ ბოლო დროს ძლიერ გავმხიარულდი, ჩიბუხსა ვსწევ—და ეს ხომ ძლიერ კარგი ნიშანია—და მშვენივრად ვმუშაობ. ეხლა შინროზეს ვაპირობ წასვლას და იქ, უეჭველია, ჩემს წიგნს მალე დავამთავრებ.

ეს სიტყვები არაფრად ეპიტნავა ჩვენს სტუმარს.

მამა ჩემმა განაგრძო:

— ერთხელ ერთი ვირთაგვა მოიწამლა. მეორე ვირთაგვა წავიდა იმის სანახავად. მოწამლულმა ვირთაგვამ შესჩივლა სტუმარს და იმანაც გულ-მტკივნეულად უთხრა: „რომ იცოდეთ, რა ძლიერ მეცოდებითო“. მომაკვდავმა ვირთაგვამ ჰკითხა: „თქვენ რაღაც ფერი წაგივიდათ:“—„არა ეგ არაფერია, მე კარგად გახლავარ!“ „თქვენა?“ „მე ძლიერ კარგადა ვარ!..“ ამ ლაპარაკში ორთავენი დაიხოცნენ, მაგრამ შურიანი სტუმარი უფრო ადრე მოკვდა.

სტუმარი რომ წავიდა მამა ჩემმა ბევრი იცინა და მერე მითხრა:

— მაგ პატიოსანს კაცს ძლიერ უნდა, რომ მე მალე მოვკვდე. წარმოიდგინე, რა სიამოვნებით ეტყვის ყველას: „საბრალო ჩემი მეგობარი, რა ძლიერ მიყვარდა, მაგრამ რა გაეწყობა, ისეთი ავადმყოფობა ჰქონდა, რომ ვერ გაუძლო. მე რომ მქონიყო ის ავადმყოფობა, გავუძლებდი, ჩემი საქმე სულ სხვა არისო“. და სხვ. ამგვარი.

დასასრულ მამა ჩემმა სთქვა: „ჩვენ ყველანი ჩვენს თავსა და ერთმანერთს ვატყუებთ“.

არტისტების შესახებ მამა ჩემი ამბობდა ხოლმე, რომ აი ნამდვილი ამაოდ-მედიდური ხალხი ეგ არისო, მაგრამ ამასთანავე მაინც უყვარდა არტისტები.

კოკლენი, პორელი და ლაფონტენი დიდი მეგობრები ყოფილან ალფონს დოდესი. ამათში ლაფონტენი ყველაზედ უფრო მეტად უყვარდა დოდეს.

რაც შეეხება არტისტ-ქალებსაო, სწერს დოდეს შვილი, მამა ჩემი ვერ დავარწმუნე, რომ ადამიანს შეიძლება უყვვრდეს ქალი, რომელიც ყველას მოსწონს. არაო, მეტყოდა ხოლმე, ეგ მე არ მჯერა, არა მრწამს, როგორ წარ ოვიდგენ, რომ ქალი მხოლოდ იმიტომ შემიყვარდეს, რომ სხვას მოსწონს და უყვარს. განსაკუთრებით, დოდეს შვილი ამბობს, რომ მამა ჩემი კარგად იცნობდა არტისტებს, კარგად ჰქონდა შესწავლილი მათი ყოფა-ცხოვრება და ძლიერა ვსწუხვარ, რომ ამ საგანზე არაფერი დაუწერიაო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 ივლისი

პეტერბურგი. მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორს ზვერევს ებრძანა საერო განათლების მინისტრის ამხანაგად ყოფნა.

11 ივლისი

პეტერბურგი. 9 ივლისს მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ უბოძეს თავადს ფერდინანდს ორდენი წმ. ანდრია პირველ წოდებულისა და თავადის მეუღლეს—ორდენი წმ. ეკატერინესი.

კონსტანტინეპოლი. რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი და იტალია განუცხადებენ ოსმალეთს, რომ ნებას არ მოგცემთ კრიტის კუნძულზე ჯარი გაგზავნოვო.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება მომცეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გარდავუხადო მარკოზ გიორგის ძე სანიკიძეს, რომელმაც შემოსწირა ზემო სურების სკოლის მოსწავლეების სასარგებლოდ ორი მანეთი.

კაპიტონ ტროპაიძე

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ტფილისის უმრავ მამულების პატრიონთა საყურადღებოდ, რომ, საბჭოს ამ წლის 2 მარტის განაჩენის თანახმად, დადგენილ იქმნა 1898 წლისათვის დაფასების დამატებითი ვარდასახადი მამულზედ $^{1}/_{16}$ %, რაც ჩვეულებრივის გარდასახადის $^{1}/_{12}$ ნაწილს შეადგენს. ვარდასახადის შესატან ვადად დანიშნულია ივლისის თვე და ვინც ამ თვეში არ შემოიტანს გარდასახადს, დაჯარიმებულ იქმნება დასაფასებელ გარდასახადის ვადაზედ შემოუტანლობისათვის დადგენილ დაჯარიმების წესისამებრ.

(3—5.—1)

КЪ ВОПРОСУ

О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—1)

წმინდა ქინაქინა ბოგირდ-მჟავე და მარილ-მჟავე

ყველას შეძლება ეძლევა შეიძინოს სახლისათვის საჭირო სამკურნალო წამალი მეტად იაფ ფასად პროვინციის ყველა დიდ ვაჭრთან. მოსკოვის

რ. კელერისა და ამხ.

თავმდებობით. სიყალბის თავიდგან ასაცდენად მსყიდველმა ყურადღება უნდა მიაქციოს ბანკაზედ მიკრულ ამხანაგობის იარლიკსა და გაუფუჭებელ მავთულიან ბადეს, რომელსაც დამღა ექნება ზედწარწერით: „რ. კ. და ამხ.“ (3—მ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 11 го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.